

კოლხური ლანდშაფტები და მათი კონსერვაციული მნიშვნელობის შეფასება

გვანცა მოსიძე

ელ-ფოსტა: gvantsa.mosidze2014@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ი. ჭავჭავაძის გამზ. 1,
თბილისი, 0179, საქართველო

კოლხური ლანდშაფტები მსოფლიოს გეოსისტემების ერთ-ერთი უნიკალური ფენომენია. მათი ფორმირება და გავრცელება დაკავშირებულია როგორც რელიეფურ-კლიმატურ თავისებურებებთან, ისე პალეოგეოგრაფიულ ფაქტორებთან.

კოლხური ლანდშაფტები უნიკალურია მათი მესამეული ფლორის გამო, რომელიც რეფუგიუმის ხასიათს ატარებს, პოლტავური, ძველხმელთაშუაზიური და ა.შ. ელემენტების გავრცელების თვალსაზრისით, აქედან გამომდინარე კოლხური ლანდშაფტები წარმოადგენს უნიკალურ სივრცეს, სადაც შემორჩა და თავი მოიყარა ასეულობით ათასი წლის წინანდელმა ფორმაციებმა. აღნიშნულიდან გამომდინარე აღნიშნული ეკორეგიონი მსოფლიოში ერთადერთია და განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.

კოლხური ლანდშაფტები ვრცელდება შავი ზღვის შემოგარენში, მთავარი კავკასიონის სამხრეთ მაკროფერდობებიდან დაწყებული, გაგრძელებული კოლხეთის დაბლობით და შემდგომში აღმოსავლეთ პონტოს ქედით, სადაც მისი გავრცელების ბოლო ზღვარს აღწევს ქ. ორდუსთან.

კოლხური ლანდშაფტები ცალკეული ეკოსისტემების სახით გადმოდის ლიხის ქედის აღმოსავლეთით, მდ. ბანისხევის, ძამას, სტორის ხეობებში, კახეთის კავკასიონზე ყვარელი-ლაგოდეხის ზოლში და მდ. ბაწარას ხეობაში, რომელიც დიზუქციურ ხასიათს ატარებს და შედეგია წარსულში კლიმატის მკვეთრი ცვლილების.

კოლხურ ლანდშაფტებს ახასიათებს მაღალი ეკოსისტემური მრავალფეროვნება, მაღალი კონსერვაციული მნიშვნელობა, მაღალი ენდემიზმი და დაცვითი კატეგორიის ფორმაციების (წითელი ნუსხა, ზურმუხტის ქსელი და ა.შ.) ხშირი თავმოყრა.

ნაშრომში ჩატარებულია კოლხური ლანდშაფტების სივრცითი ანალიზი, ლანდშაფტური მრავალფეროვნების, კონსერვაციის და ადამიანის ტრადიციული საქმიანობის ფონზე. განხილულია უმთავრესი პრობლემები და ხაზგასმულია მათი დაცვის და შენარჩუნების აუცილებლობა.

ლიტერატურა:

1. კეცხოველი ნ. საქართველოს მცენარეული საფარი. თბ.: საქართველოს სსრ. მეცნ. აკადემიის გამომცემლობა; თბ. 1959
2. რ. მაისურაძე, ნ. ჯამასპაშვილი, ზ. სეფერთელაძე, ნ. ბერუჩაშვილი, ნ. ინაშვილი და თ. ხარძიანი, საქართველოს ახალი ლანდშაფტური რუკა და გეოინფორმაციული სისტემა, წიგნი-კატალოგი; თბ. 2012.
3. რ. ქვაჩავიძე, საქართველოს გეობოტანიკური დარაიონება; თბ. 1996
4. რ. გაგნიძე, მ. დავითაძე, ადგილობრივი ფლორა; თბ. 2000
5. Беручашвили Н.Л. Кавказ, Ландшафты, Модели, Эксперименты. Тб. 1995.
6. <http://pjp-eu.coe.int/en/web/emerald-network/georgia>